



სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2017

სარჩევი

შესავალი.....	3
ხარისხის მართვის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმართულება.....	3
მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულება.....	6
პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულება.....	9
ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულება.....	12
ბიბლიოთეკა.....	15
დასკვნა.....	16

შესავალი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილ იქნა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შესახებ ანგარიში. 2016-2017 წლის ანგარიში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ ხარისხის მართვა, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- ✓ მატერიალური უზრუნველყოფა;
- ✓ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა;
- ✓ ინკლუზიური პროფესიული განათლება;
- ✓ ბიბლიოთეკა.

ხარისხის მართვის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმართულება

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო განვითარების გეგმა.

2016-2017 სასწავლო წელს ხარისხის მართვის მიმართულება წარმართა დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ამ პერიოდისათვის კოლეჯში ხორციელდება თერთმეტი პროფესიულ საგანმანათლებლო (საგნობრივი) პროგრამა:

1. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი;
2. ძრავის შემკეთებელი;
3. ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი;
4. ავტომობილის დიაგნოსტიკოსი;
5. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;
6. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი);
7. ბულალტერი;
8. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
9. მცირე ბიზნესის მწარმოებელი;
10. სავალი ნაწილის ტექნიკოსი;
11. ტოპოგრაფი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული და ავტორიზებული რვა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. ბულალტერი, (საფეხური V);
2. ვებპროგრამისტი, (საფეხური V);
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, (საფეხური III);

4. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, (საფეხური V);
5. მოლარე, (საფეხური III);
6. ბანკის მოლარე-ოპერატორი, (საფეხური III);
7. საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, (საფეხური III);
8. სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), (საფეხური IV).

შემუშავებული იქნა ოთხი ახალი მოდულური პროგრამა:

- „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“;
- „მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი“;
- „ოფისის მენეჯერი“;
- „ბუღალტერ-ტექნიკოსი“.

ამის პარალელურად მიმდინარეობს პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარის, ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად საჭირო ღონისძიებები.

სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის უწყვეტად ხორციელდება სალექციო ცხრილების შედგენა, როგორც პროფესიული მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისათვის, რომელიც თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

შემოწმდა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პირობები, კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ კომპიუტერებში ჩატვირთული სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ყველა კომპიუტერული პროგრამა.

მიმდინარე პერიოდისთვის, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დონის გასაუმჯობესებელ ტრენინგებში, რომლებიც მოდულური პროფესიული სწავლების რეფორმასთან არის დაკავშირებული.

სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები პროფესიულ მასწავლებლებთან შეფასებისა და სწავლების მეთოდების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

2016-2017 წლებში კოლეჯში წარმატებით განხორციელდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლება.

მომზადდა 2016 წლის თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც ჩართული იყო დაწესებულების ადმინისტრაცია, დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიში წარუდგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილ ვადებში.

სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით კომპიუტერული მიმართულების ჯგუფებისათვის შექმნილ იქნა სხვადასხვა სახის თანამედროვე ტექნიკა.

კოლეჯის შემდგომი განვითარებისათვის, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის გაზრდისათვის კოლეჯი აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, რამაც სათანადოდ უზრუნველყო კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულების პროფესიული პროგრამები.

ადმინისტრაციული პერსონალი კოლეჯის პედაგოგებთან ერთად აქტიურად არის ჩართული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პედაგოგთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დონის გასაუმჯობესებელ ტრენინგებში.

კოლეჯში სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით ტარდება კონკურსები, სპორტული ღონისძიებები, დაჯილდოვებები, დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ და სხვა. დაიგეგმა მსგავსი ღონისძიებების გამრავალფეროვნება და ფართო მასშტაბით მეტი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა.

2016-2017 წლის პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციის საფუძველზე ჩარიცხული სსსმ სტუდენტისათვის, რომელიც იყო მნიშვნელოვანი მხედველობის შეზღუდვის სტატუსის მატარებელი, განისაზღვრა ხმოვანი პროგრამის „nvda“ შემსწავლელი სპეციალისტის მომსახურება. ორი სტუდენტისათვის კი გამოიკვეთა შესტური ენის სპეციალისტის აყვანის საჭიროება.

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროფესიული პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის პროფესიული უნარ – ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს ფორმალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები).

საწარმოო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, პროფესიული სასწავლებლისა და დამსაქმებლებთან. საწარმოო პრაქტიკის ფორმატიდან გამომდინარე საწარმოო პრაქტიკა ტარდება, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე კოლეჯის ფარგლებს გარეთ, სადაც კოლეჯს აქვს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი.

2016 წელს პროგრამებით გათვალისწინებული სტანდარტების უზრუნველსაყოფად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის კოლეჯს დადებული აქვს მემორანდუმები შესაბამის კომპანიებთან: შპს „საქართველოს მელიორაცია“, ი.მ. თეონა უთალიშვილი, ი.მ. ზოია ქაჯაია, შპს „მარიამ გვასალია“, ფიზიკური პირი ირინა არღვლიანი გელაშვილი, ი.მ. ანა ჩაკვეტაძე, შპს „კოპი პრინტი 2000“, შპს „საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე“, შპს „პავორიტი სტილი“, შპს „სტადი პრინტ“, შპს „ილიონი“, შპს „ტამაზი“, შპს „გიო და ნიკო“, შპს „ავტოსერვისი დიდი დილომი“, შპს „ანკო“, შპს „დაირეკ დებით ჯორგია“, შპს „ერი“, შპს „აკა“, შპს „nia nia“, შპს „N.B“, ი.მ შოთა გამგონიძე, შპს „აიტისი“, შპს „სუბარუ მოტორსი“, შპს „ram motors“, ფ/პ მევლუდ ასლამაზოვი, შპს „თამაზი 51“, შპს „კირკიტაძე და კომპანია“, შპს „იზოგრაფიკი“, შპს „საქპროექტარქიტექტურა“, შპს „მ.დ.მოტორსი“, შპს „პრემიუმ ავტო“, სსიპ - ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა, საქართველოს ბანკების ასოციაცია, შპს „აგრო მოტორსი“, შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, შპს „ავტოსერვისცენტრი“, შპს „ავტოაგრეგატი“, შპს „ავტომაზი“, ი.მ. გელა მიქელაძე, შპს „გლდანის სერვისი“, შპს „უშბა სერვისი“, შპს „ვესტ მოტორსი“, შპს „ავტომარკეტი“, შპს „მიქს დრაივი“, შპს „კენტავრი“, შპს „თბილკონდიტერი“, შპს „ევროტექსი“, შპს „ჯეფერინი“, შპს „ხევისუბანი 18“, შპს „ავტომაზი“, შპს „ავტო სერვისი კომპანი“, შპს „თი ემ“, შპს „იზოგრაფიკი“.

მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულება

ინფორმაცია 2016 წლის ფინანსური რესურსებისა და ხარჯვის შესახებ

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ზ ბრძანების შესაბამისად. ამავე ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოებია საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი და საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი, წესდების მე-5 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად, ასრულებს საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახლად დაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საზოგადოებრივი კოლეჯის პირველი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე. ზემოაღნიშნულ დებულებაში შესული ცვლილებების, შესაბამისი წევრების დამტკიცების პროცედურების დაცვის გათვალისწინებით, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს პირველი შეკრება გაიმართა 2016 წლის 28 აპრილს. შესაბამისად, პირველი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე საზოგადოებრივი კოლეჯის ბიუჯეტის დამტკიცება განხორციელდა ზემოაღნიშნული ნორმის გათვალისწინებით კოლეჯის უფლებამოსილი მართვის ორგანოს მიერ.

კოლეჯის წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კოლეჯის დაფინანსების წყაროებია: შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები, ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული

სამუშაოდან მიღებული შემოსავალი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი კოლეჯის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში. შესაბამისად, საზოგადოებრივი კოლეჯის ბიუჯეტი ფორმირდება ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებითა და დაცვით. ბიუჯეტის ფორმირების პროცესი ეფუძნება შესაბამის გაანგარიშებებსა და დასაბუთებებს, რაციონალურ და ეკონომიკურ საფუძვლებს. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 იანვრის N01 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საზოგადოებრივი კოლეჯის 2016 წლის ბიუჯეტი (დანართი თანდართულია), რომელშიც შესაბამისად წინა წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების, შემოსულობებისა და ხარჯების ოდენობების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე, ასევე საქართველოს 2016-2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო განაცხადის გათვალისწინებით, მუხლობრივად ასახულია 2016 წლის ბიუჯეტის წლიური საპროგნოზო პარამეტრები.

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ კოლეჯის სახსრების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

მიმდინარე პერიოდისთვის საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს პირველი შეკრება გამართულია და საბჭოს სხდომები იმართება კოლეჯის წესდების მოთხოვნათა დაცვითა და შესაბამის ვადებში, მიმდინარეობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. მათ შორის, მოხდა სამოქმედო გეგმისა და ადამიანური რესურსების განვითარების გეგმის დამტკიცება, მოხდა იქნა ინფორმაცია 2015 წელს დამატებული და 2016 და შემდგომ წლებში დაგეგმილი ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ, ასევე 2016 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგები პროფესიულ სტუდენტთა მიღებისა და სწავლების დაწყების თაობაზე და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ დროისათვის, საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს საგანმანათლებლო ორგანიზაციის შემდგარ მართვის ორგანოს, რომელიც ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს და სრულად ემსახურება კოლეჯის მიზნებსა და ამოცანებს, მის შემდგომ განვითარებას.

შესაბამისად, კოლეჯს წესდების მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებას ან/და დამტკიცებას, მათ შორის, მომავალი წლების ბიუჯეტისა და ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა/დამტკიცება, ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და ვადებში.

ფინანსური ანგარიში

2016 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში სსიპ - საზოგადოებრივმა კოლეჯმა „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ ვაუჩერული დაფინანსებით მიიღო სულ 417747 ლარი, აღნიშნული დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურებისათვის გახარჯულია 399415 ლარი, ხოლო სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებისათვის გაწეულია საკასო ხარჯი 15817 ლარის

ოდენობით, შექმნილია 168 ლარის არაფინანსური აქტივი (სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი, სასწავლო სახელმძღვანელოები).

2016 წლის განმავლობაში კოლეჯმა პროგრამული დაფინანსებით სახაზინო კოდზე 32030109 მიიღო სუბსიდიის მუხლით 443230 ლარი, არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლში 18049 და სხვა ხარჯების მუხლში 729 ლარი, სულ - 462008 ლარი.

სახაზინო კოდზე - 3202050108 ინლკუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 750 ლარი.

სახაზინო კოდზე - 32020905 სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის კოლეჯმა მიიღო 5556 ლარი, რომელიც გახარჯულია პედაგოგების შრომის ანაზღაურებაში.

სულ ბიუჯეტის დაფინანსებამ შეადგინა 468314 ლარი.

აღნიშნული დაფინანსებიდან სუბსიდიის საკასო ხარჯმა შეადგინა 449536 ლარი. მუხლიდან „სხვა ხარჯები“ (დასუფთავების მოსაკრებელი) გადახდილია 729 ლარი. „არაფინანსური აქტივის ზრდის“ მუხლში კოლეჯმა დაამონტაჟა შემოსასვლელის ტურნიკეტი - 18049 ლარის ღირებულებით.

2016 წლის 31 ოქტომბერს კოლეჯსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული N01/162-201-ის ხელშეკრულებების საფუძველზე კოლეჯმა მიიღო 1313 ლარი ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ოფისის მენეჯერი“ განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესაძენად, საიდანაც შექმნილია 1093 ლარის მცირეფასიანი მარაგები და აღჭურვილობა, ხოლო დარჩენილი 220 ლარი დაბრუნებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ანგარიშზე.

2016 წელს ასევე წინა წლებში სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული თანხებიდან, რომელიც კოლეჯს ერიცხება, როგორც კრედიტორული დავალიანება შექმნილია არაფინანსური აქტივი 1400 ლარის ოდენობით (დენის წყარო), ასევე კოლეჯის ერთ-ერთ აუდიტორიაში დამონტაჟდა გამყოფი ტიხარი - 625 ლარის ღირებულების. წინა წლების კრედიტორული დავალიანებიდან უკან დაბრუნდა 1010 ლარი და ამ ეტაპზე 2016 წლის 31 დეკემბრისათვის კოლეჯის დავალიანება შეადგენს 170662 ლარს. კერძოდ, კოლეჯსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე: ხელშეკრულება N01/162-80 - 4609 ლარი, ხელშეკრულება N01/062-71 - 166052 ლარი.

2016 წლის განმავლობაში დაიფარა კრედიტორული დავალიანება შპს „ტაბა“-ს მიმართ 363 ლარის ოდენობით, რომელიც 2015 წლის ბოლოსათვის ასახული იყო არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები.

2016 წელს კოლეჯს გადმოეცა:

1. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსაგან „ფაბლაბის“ ლაბორატორია ღირებულებით 236420 ლარი.

2. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სასკოლო სკამი და მერხი 60 ცალი ღირებულებით 3900 ლარი.

2015 წლის სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტის ანგარიშის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მიეცა რეკომენდაცია კოლეჯის კუთვნილი მიწა შეფასებულიყო აუდიტორის მიერ. 2016 წლის 6 თვეში მოხდა 5937 კვ.მ. კოლეჯის მიწის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, რის შედეგადაც კოლეჯის არსებული მიწა შეფასდა 688692 ლარით და მთლიანმა ღირებულება შეადგინა 890550 ლარი. აღნიშნული ოპერაცია ბალანსში ასახულია როგორც არასაოპერაციო შემოსავალი. აგრეთვე საანგარიშო პერიოდში მოვახდინეთ კოლეჯის ბალანსზე რიცხული ნულოვანი ღირებულების სახელმძღვანელოების საბაზრო ფასის დადგენა დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული თანხა 1555 ლარი ბალანსში ასახულია როგორც არასაოპერაციო შემოსავალი.

2016 წელს მოგვმართა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა კოლეჯმა, გადაგვეცა მათთვის დირექტორის მაგიდა, რაზედაც კოლეჯმა განათლების და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემდეგ, შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცა მათ აღნიშნული მაგიდა ღირებულებით ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 2100 ლარი.

პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულება

2016-2017 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დაგეგმილი იყო აქტივობები სხვადასხვა პროფილით.

სტუდენტთა მოზიდვის მიზნით ღია კარის დღეების ჩატარება

2016-2017 წელს კოლეჯში ორჯერ გაიმართა ღია კარის დღე, რაც წინ უძღოდა ახალი სასწავლო პროცესის დაწყებას. საშემოდგომო და საგაზაფხულო რეგისტრაციების შემდეგ, პროფესიულ ტესტირებამდე გაიმართა ღია კარის დღეები საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ. ასევე, გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს და სხვა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, ტესტირების პირობებსა და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის ანალიზი

2016-2017 წელს კურსდამთავრებულთა სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა წლის განმავლობაში ორჯერ (6 თვეში ერთხელ). გამოკითხვის მიზანი იყო შეგვესწავლა დასაქმების მაჩვენებელი პროფესიული პროგრამების მიხედვით, რამაც მოგვცა შრომის ბაზრის მოთხოვნების რეალური სურათი.

სტუდენტების კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებით ხასიათის ღონისძიებები

2016-2017 სასწავლო წელს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ გაიმართა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები.

2016 წელი, სექტემბერი	ჩატარდა კონკურსი კოლეჯის შენობის პირველ სართულზე რელიეფური, გრაფიკული კომპოზიციის შესაქმნელად.
2016 წელი, სექტემბერი	კოლეჯს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. სააგენტოს ფაბლაბის პროექტის კოორდინატორმა - გიორგი ხაჩიძემ კოლეჯის სტუდენტებსა და პედაგოგებს სააგენტოს საქმიანობისა და პროექტების შესახებ გააცნო და FAB-LAB-ების განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა.
2016 წელი, ოქტომბერი	კოლეჯის თანამშრომელს შორენა მეფარიძეს და პროფესიულ სტუდენტებს, იოანე ჩაბაიძეს და დიანა ბერიკაშვილს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში FAB-LAB-ის გადამზადების სერტიფიკატები გადაეცა.
2017 წელი, იანვარი	სამინისტროს კონტრაქტორმა ორგანიზაციამ „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“ კოლეჯში შექმნა „მეწარმეობის კლუბები“. „მეწარმეობის კლუბის“ ფორმირება სასწავლო პროცესისთვის ექსტრალურიკულური სასწავლო აქტივობის დამატებაა, იმისათვის რომ სტუდენტებმა და მოსწავლეებმა რეალურად გამოსცადონ ბიზნეს იდეის ჩამოყალიბების, კომპანიის დაარსების, საქმიანობის წამოწყების, აწყობის, მართვის და ლიკვიდაციის პროცესი. „მეწარმეობის კლუბის“ წევრებს სერტიფიკატები გადაეცათ.
2017 წელი, იანვარი	კოლეჯმა უმასპინძლა „Worldskills Georgia“-ს მესამე ეროვნული შეჯიბრს პროფესიებში: გრაფიკული დიზაინერი და ვებდისაინერი. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები, მათ შორის, კოლეჯის „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის“, „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ და „ვებპროგრამისტის“ სტუდენტები.
2017 წელი, 25 მარტი	კოლეჯში გლდანის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?", რომელშიც რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.
2017 წელი, მარტი	კოლეჯში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, სადაც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა და პედაგოგებმა.
2017 წელი, აპრილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით მოეწყო ინოვაციური ტექნოლოგიების იდეათა ჰაკათონი, სადაც კოლეჯი წარმოდგენილი იყო 2 რეგისტრირებული გუნდით: „ტანგრამი“ და „ბენდი“.
2017 წელი, აპრილი	შპს „ელიტ მოტორსის“ ინიციატივით გაიმართა მძიმე სამშენებლო ტექნიკის

	ჩემპიონატი. მძიმე ტექნიკის ოპერატორებმა სხვადასხვა სირთულის დავალებები შეასრულეს და გამარჯვებულებმა ესპანეთში საგზური მოიპოვეს. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორთა ჩემპიონატში კოლეჯის სტუდენტმა - ამირან კვიციანიძემ მიიღო მონაწილეობა.
2017 წელი, მაისი	სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრმა კოლეჯში სამუშაო შეხვედრა გამართა. სემინარში აქტიური მონაწილეობა 40-მდე სტუდენტმა მიიღო. სამუშაო შეხვედრა რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა და მოიცავდა როგორც პრეზენტაციას, ასევე სიმულაციურ თამაშს: "შრომითი დავა".
2017 წელი, ივლისი	კოლეჯში "გაიმართა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის ჩართული იყვნენ პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები
2017 წელი, ივლისი	საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი"-ის ორგანიზებით გაიმართა პრინტების კონკურსი: "სტუდენტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის". კონკურსის მთავარი მესიჯი იყო: „საზოგადოება იმსახურებს სოციალურად პასუხისმგებელ ბიზნესს“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერისა“ და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ სტუდენტებმა.

პროფესიული სტუდენტების სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება

2017 წლიდან ვთანამშრომლობდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან. ჩარიცხულ სტუდენტებში ხდება დევნილის სტატუსის მქონე პირების იდენტიფიცირება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დევნილის სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას, რაც მდგომარეობს მგზავრობის ხარჯის სრულად დაფარვას. კოლეჯი თვეში ერთხელ ამზადებს დევნილის სტატუსის მქონე პირების სტატისტიკას და აცნობს სამინისტროს.

საწარმოო პრაქტიკის თაობაზე დამსაქმებლებთან ახალი მემორანდუმების გაფორმება. პარტნიორების მოზიდვა სტაჟირებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით

2016-2017 წელს კოლეჯმა გააფორმა 271 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ყველა იმ მიმართულებით, რა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც ახორციელებს კოლეჯი.

პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. ბიზნესის ჩართულობა კოლეჯის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, მიმართულებებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში

2016-2017 წლის განმავლობაში რეგულარულად იგეგმებოდა შეხვედრები კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით. შეხვედრებზე განიხილებოდა ბიზნესის

მოთხოვნები დამსაქმებლების მიმართ და კოლეჯის სტუდენტების მზაობა შრომის ბაზარზე გასვლისთვის.

მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (პროფესიული ფესტივალები, გამოფენები)

2017 წლის 19 და 20 იანვარს კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ექსპოზორჯიაში გაიმართა. დამთვალიერებლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ კოლეჯის პროგრამებსა და სტუდენტების მიერ შექმნილ სხვადასხვა ნამუშევრებს.

კომპანია „რობერტ ბოშთან“ ერთობლივი კონფერენციისა და ტრენინგების გამართვა

2016-2017 წელს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მსოფლიოში ცნობილი კომპანია „რობერტ ბოშის“ საერთაშორისო ტრენინგების მასშტაბური მასტერკლასი გაიმართა, რომელშიც კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები, ასევე სამშენებლო და საგზაო, დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები, ადგილობრივი დილერები მონაწილეობდნენ. კოლეჯი და კომპანია „რობერტ ბოში“ (კავკასიის რეგიონში გაყიდვების ოფისი) 2014 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს.

ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსი(ებ)ის განახლება

2016-2017 წელს დაიწყო ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსიების განახლება.

ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულება

კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა სსსმ პირებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების მისაღებად. ზემოხსენებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის დროს გაწეული მხარდაჭერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, კოლეჯში 2015 წელს სამინისტროსთან შეთანხმდა და დღემდე მოქმედებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული. მიუხედავად ამისა, კოლეჯში მწვავედ დგას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირის

ასისტენტის ერთი საშტატო ერთეულის ამოქმედების საჭიროება. 2016 წლის 5 სექტემბრის წერილით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N1023495 წერილით ეთხოვა აღნიშნული საშტატო ერთეულების დაშვება, მაგრამ უარი ეთქვა.

2015 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების შედეგად კოლეჯში ჩარიცხულმა ორმა სსსმ სტუდენტმა - ანა ჟვანიამ (პ.N01005028341, „ოფისის მენეჯერი (მდივანი-რეფერენტი)“) და ნატო გორგიშელმა (პ.N01001072904, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“) მოგვმართეს თხოვნით, რათა გაგვეწია დახმარება სპეციალური ასისტენტის გამოყოფის სახით. კოლეჯს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2015 წლის 16 დეკემბრის N1312262 წერილით განესაზღვრა ერთი შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობა 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ვინაიდან სტუდენტებმა სწავლა განაგრძეს 2016 წელსაც (დასახელებულ პროგრამებზე სასწავლო პროცესი დაიწყო 2015 წლის 2 ნოემბერს და გაგრძელდა 2016 წლის შემოდგომის ჩათვლით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წელს 11 მარტის N219 ბრძანების თანახმად, კოლეჯს გამოეყო დაფინანსება ერთი გადაადგილების მხადაჭერის მომსახურების შესყიდვაზე. შესაბამისად, კოლეჯის მიერ 2016 წლის 18 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N29, რომლის თანახმად 2016 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით და სექტემბრის თვეში (ჯამურად 124 დღე) შესყიდულ იქნა გადაადგილების მხარდაჭერის მომსახურება. აღნიშნული პირი ნატო გორგიშელს (ვინაიდან ანა ჟვანიამ სწავლა შეწყვიტა) სწავლის პროცესში დაეხმარა შენობაში გადაადგილებაში, უზრუნველყო მისი ტრანსპორტირება საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და უკან, ასევე აღმოუჩინა სხვა დახმარებები.

2016 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაცია ესწრებოდნენ მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ინკლუზიური განათლების საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებს, სადაც ისინი გაეცნენ სსსმ და შშმ პირთა სწავლებისა და შეფასების ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში, მაგალითად:

ა) სტუდენტთან ერთად მის ინდივიდუალურ ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და წარმოებაში წვლილის შეტანა;

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით;

გ) სწავლა-სწავლებისა და შეფასების საკითხების განსაზღვრა ინკლუზიური პროფესიული განათლების კონტექსტში.

2016 წელს, ნორვეგიული გრანტის „ინკლუზიური განათლებისა და გადაამზადების სისტემაში“ ფარგლებში კოლეჯში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

ა) „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი I“;

ბ) „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი II”.

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, ვინაიდან სსსმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. შესაბამისად, სასწავლო პროცესიც მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად მიმდინარეობს შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. განხორციელდა მოსწავლეთა ვიზიტები კოლეჯის სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.

2016 წელს გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- 2016 წლის მოახლოება კოლეჯში ახალი მსოფლიო რეკორდითა და ერთდროულად სპორტული ტურნირებით აღნიშნეს. პარასპორტულ შეჯიბრებები გაიმართა მკლავჭიდსა და ნარდში, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა შშმ პირებმა, ასევე კოლეჯის სსსმ სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.

- 2016 წლის დასაწყისში კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის მერთან და გლდანის რაიონის გამგეობის თანამშრომლებთან ერთად ახალგაზრდა ხის ნერგები დაირგო. ამ აქციაში კოლეჯის სტუდენტები მათ შორის სსსმ პირები, პროფესიული მასწავლებლები და თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ.

- 2016 წლის 30 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა ორნაგიზაცია „ბაბალეს“ ინიციატივით გაიმართა მოდების ჩვენება სახელწოდებით „მე და პროფესიები“. ჩვენებაში მონაწილეს სსსმ და შშმ მოზარდები იღებდნენ. იდების განხორციელებაში ჩართული იყვნენ ცნობილი დიზაინერები სალომე ღვინიაშვილი და მაკა კვიციანი, რომელთან ერთადაც შეკერეს კოლეჯის სტუდენტებმა სამოსი.

- 2016 წლის აპრილში, კოლეჯში, რაიონის თვითმმართველობის ინიციატივითა და დახმარებით, შშმ პირების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის „აისი“ და მე-200 სკოლა-ლიცეუმის შშმ მოსწავლეთა ნამუშევრები. შშმ პირების საზოგადოებაში მეტი ინტეგრაციის მიზნით, გამოფენაზე, ასევე წარმოდგენილი იყო გლდანის საჯარო სკოლების მოსწავლეთა საუკეთესო ნახატები.

- 2016 წლის მაისში კოლეჯს ესტუმრნენ მე-200 სკოლა-პანსიონის მოსწავლეები, დაათვალიერეს კოლეჯი, გაეცნენ სასწავლო პროგრამებს და მოსინჯეს მათთვის სასურველი სპეციალობები.

- 2016 წლის ზაფხულში ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის შინა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს სსსმ სტუდენტებმა.

- 2016 წლის 16 ივლისს კოლეჯის ორგანიზებით მოეწყო ერთდღიანი საზაფხულო ბანაკი წინამძღვრიანთკარში. მუზეუმის, ისტორიული ბაღისა და ერეკლე მეფის დროინდელი ცხრა

მუხას დათვალიერების შემდეგ სტუდენტებმა და მასწავლებლებმა წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული სასწავლებლის განახლებული სასწავლო კორპუსისა და ეზოს დასუფთავება-კეთილმოწყობის სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა.

- კოლეჯში ყოველკვარტალურად იმართება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. თამაშში აქტიურად მონაწილეობენ სსსმ სტუდენტები.

- 2016 წლის 18 ნოემბერს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტი „ოტავა-98“-ის ინიციატივითა და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა დასაქმების ფორუმი. დამსაქმებლებს წარმოდგენილი ქონდათ მიმდინარე ვაკანსიები, სსსმ პირებს შეეძლოთ შესაბამის ვაკანსიაზე წარდგენა და გასაუბრება. შესაბამისად, დასაქმების ფორმულზე მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის კურსადამთავრებულებმაც.

- 2016 წლის 22 დეკემბერს კოლეჯში გაიმართა საახალწლო ღონისძიება, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ სსსმ სტუდენტები - ნიკა ტერაშვილი და ქეთევან ნაგლიაშვილი.

ბიბლიოთეკა

2016-2017 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა:

ერთი დასახელების 133 ცალი წიგნი (8 ქსეროასლი) ჯამში 1250 ცალი.

2016-2017 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული CD დისკების რაოდენობა:

ერთი დასახელების 39 ცალი (ჯამში 269 ცალი).

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა 1 ერთეულის დასახელების წიგნი:

1. „პირველად იყო სიტყვა“ (რაოდენობა 1 ცალი).

2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ სულ შეისყიდა 1 ერთეულის დასახელების წიგნი:

1. „სხეულის ენა“ (რაოდენობა 2 ცალი).

ამავე წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა 4 ერთეულის დასახელების წიგნი:

1. „საავტომობილო ძრავას კომპიუტერული მართვის პრინციპები“ (რაოდენობა 5 ცალი).

2. „ელექტრობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრომომწყობილობა“ (რაოდენობა 1 ცალი).

3. „ავტომობილის ტექნიკური სისტემის კომპიუტერული მართვა და დიაგნოსტიკა“ (რაოდენობა 1 ცალი).

4. „აირჩიე პროფესია“ (რაოდენობა 5 ცალი).

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლეს, როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა.

2016 წლის განმავლობაში - 296 წიგნის გატანა არის დაფიქსირებული (138-მა ისარგებლა გახანგძლივების უფლებით).

2017 წლის განმავლობაში - 193 წიგნის გატანა არის დაფიქსირებული (48-მა ისარგებლა გახანგძლივების უფლებით).

2016წ-დან 2017 წლის ჩათვლით დღემდე ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის - დაბრუნების 489 ხელმოწერაა დაფიქსირებული (186-მა ისარგებლა გახანგძლივების უფლებით).

ასევე, მეხსიერების ბარათით და ელექტრონული ფოსტით, ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკარის მიერ, გაგზავნილი არის მრავალჯერ, სხვადასხვა სახის ელექტრონული წიგნები სტუდენტებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.

2016-2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან არ ჩამოგვიწერია არცერთი დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო წიგნი.

დასკვნა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი, რის შედეგაზეც დაფუძნებული იქნება 2017-2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები:

- ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორის მ.შ.;
- გიორგი დიერაშვილი - დირექტორის მოადგილე ფინანსურ და მატერიალურ რესურსების დარგში;
- მანანა ნიაზაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
- მარინე წიკლაური - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;
- მაია ტოროშელიძე - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
- სესილია სიჭინავა - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
- თამარ ბერელაშვილი - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
- ქეთევან გვაძაბია - ბიბლიოთეკარი.

№	აქტივობის შინაარსი	შედეგი
1	მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში თანამშრომლობა განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრთან და კოლეჯში მათი დანერგვის ხელშეწყობა	შესრულდა
2	ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პროცესი	არ შესრულდა
3	ახალი სასწავლო პროცესის დაწყების უზრუნველყოფა	შესრულდა
4	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ღონისძიებათა გეგმის შემუშავება	შესრულდა
5	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი	შესრულდა
6	მონიტორინგის შედეგების გაანალიზება	შესრულდა
7	პროგრამული შიდა აუდიტის ჩატარება	შესრულდა
8	მოხვედრების (ტრენინგების) მოწყობა სილაბუსის შემუშავების, ცოდნის შეფასების და სწავლების მეთოდების საკითხებში	შესრულდა
9	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცების პროცედურების ორგანიზება	შესრულდა
10	მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	შესრულდა
11	სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და კოლეჯში სხვადასხვა პროფესიული განათლების მოკლევადიანი განათლების პროგრამების განხორციელება	შესრულდა
12	თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	შესრულდა
13	მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება	შესრულდა
14	პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება	შესრულდა

15	პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და გადამზადება	შესრულდა
16	ადმინისტრაციული და პედაგოგიური კადრების გადამზადება /პროფესიული განვითარების ხელშეწყობა/მექანიზმების შემუშავება და განხორციელება	შესრულდა
17	საქართველოს განათლების სამინისტროს სსიპ-ბთან (გამოცდების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა სახლი, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა) თანამშრომლობის განვითარება	შესრულდა
18	პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევის ახალი კრიტერიუმების შემუშავება/დანერგვა	არ შესრულდა
19	საქართველოს პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა, გამოცდილების ურთიერთგაზიარების ხელშეწყობა	შესრულდა
20	თანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან	შესრულდა
21	საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ანალოგიური პროგრამების გამნახორციელებელ რეგიონულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან	შესრულდა
22	სტუდენტთა მოზიდვის მიზნით ღია კარის დღეების ჩატარება	შესრულდა
23	შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების ანალიზი	შესრულდა
24	კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის დამუშევების მოპოვება/ანალიზი / ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება	შესრულდა
25	პროფესიული სტუდენტების სოციალური მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება	შესრულდა
26	სტუდენტების კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების სტრატეგიის შექმნა	შესრულდა

27	სტუდენტთა ტრანსპორტირებასა და საერთო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა/ საერთო საცხოვრებლის პროექტის შემუშავება/პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესება	არ შესრულდა
28	სტუდენტთა სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედება, კვების ბლოკის მოწყობა, აღჭურვა, ამოქმედება	შესრულდა
29	რეგიონიდან ჩამოსული და სოც. დაუცველი სტუდენტების შესახებ ინფ. მოპოვება/ანალიზი და დახმარება (მათ შორის, საერთო საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად პროექტის მომზადება და წარდგენა)	შესრულდა
30	ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობა, სამინისტროს შესაბამის პროექტებში/პროგრამებში ჩართულობის გაზრდა	შესრულდა
31	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების გაუმჯობესება	შესრულდა
32	სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება/დანერგვა	შესრულდა
33	სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის მოსახერხებელი სასწავლო მასალების, წიგნების, ტექნიკური საშუალებების მოძიება და დანერგვა	შესრულდა
34	სასწავლო და სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიების გაუმჯობესება	შესრულდა
35	საკომუნიკაციო, საინფორმაციო, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება	შესრულდა
36	კოლეჯის ტერიტორიაზე გარე და შიდა ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა	შესრულდა
37	საბიბლიოთეკო ფონდის სისტემური განახლება და შევსება, ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარება	შესრულდა
38	კოლეჯის ბიუჯეტის პროექტის (წლიური, კვარტალური) მომზადება/წარდგენა (2016წ., 2017წ.)	შესრულდა
39	საწარმოო პრაქტიკის თაობაზე დამსაქმებლებთან ახალი მემორანდუმების გაფორმება	შესრულდა

40	პარტნიორ დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით	შესრულდა
41	პოტენციულ დამსაქმებლებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება	შესრულდა
42	ბიზნესის ჩართულობა კოლეჯის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, მიმართულებებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში	შესრულდა
43	მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (პროფესიული ფესტივალები, გამოფენები)	შესრულდა
44	პარტნიორების მოზიდვა სტაჟირებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით	შესრულდა
45	კომპანია „რობერტ ბოშთან“ მოქმედი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო ცენტრისა (რესურს-ცენტრის) და FAB LAB-ის განვითარება, პროგრამების დანერგვა და ა.შ.	შესრულდა
46	კომპანია „რობერტ ბოშთან“ ერთობლივი კონფერენციისა და ტერენინგების გამართვა	შესრულდა
47	ვებგვერდის უცხოენოვანი ვერსი(ებ)ის განახლება	ნაწილობრივ შესრულდა
48	მიმდინარე გეგმაში კორექტირების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში)	არ საჭიროებდა